პარასკევი, 18 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 18 ივნისი, 1904 წ.

ივერია

№ 141 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 141

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

ვიღებ საეკლესიო **პანკელების სამხატვრო საქმეებს**·

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ჰრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—13)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური·

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотносги**·

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინა გან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ· იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

მრ. ვ. სობოლევსკი - დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ურდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

უცხოელების მოსაზრება.—პორტ-არტურთან.—წვრილი ცნობები.—ომის სურათი.

ინგლისურ გაზეთების სამხედრო მიმომხილველნი ამბობენ, გენერალ კუროკის მოწინავე რაზმს რკინის გზის ლიანდაგი დაუჭერია 20 მილის სიშორეზე ხაიჩენიდგან. ეტყობა, გენერალ კუროკის განუზრახავს გენერალ შტაკელბერგს გზა გადუღობოს და გენერალ კუროპატკინის ჯარს ჩამოსჭრასო. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ გენერალი ოქუ წყნარად მისდევდა გენერალ შტაკელბერგის ჯარს და ძალას არ ატანდა, რომ სწრაფად დაბრუნებულიყო. სწორედ ამიტომ გაუძლიერებია გენერალ კუროკის თავის ჯარის მარცხენა ფრთა. საინტერესოა, გენერალი კუროპატკინი გენერალი შტაკელბერგის ჯართან დარჩა, თუ ჩრდილოეთისკენ გაეშურაო. სხვა გაზეთების მიმომხილველნი ამბობენ, გენერალ კუროკი ეგრე მალე ვერ წაიწევდა წინ და რეიტერის სააგენტოს დეპეშა ტყუილი უნდა იყოსო. ის კი მართალია, რომ გენერალ კუროკიმ შესცვალა წინანდელი თვისი გეგმა და გენერალ კუროპატკინს ჩრდილოეთიდგან კი არ მოუვლის, დასავლეთისკენ წავა, გენერალ ოქუს ლაშქარს შეუერთდება და რუსების მარჯვენა ფრთას დაეცემაო. სამხედრო კრიტიკოსებს უკვირთ, რომ იაპონელების ფლოტი გაიჯოუსთან არ მიდის, სადაც გენერალი შტაკელბერგი დაბანაკებულა, და ყუმბარას არ უშენსო. სჩანს, იაპონელების გემები დაზიანებულან და მეზღვაურნი დაქანცულან. საერთოდ იაპონელების ესკადრებს სისუსტე ეტყობათ და გემების უვარგისობა უნდა იყოს მიზეზი, რომ ვიცე-ადმირალი კამიმურა ვლადივოსტოკის ესკადრას არ გამოეკიდაო. მეზღვაურნი ამბობენ, იაპონიის ზღვაზე რუსებს მცირე ესკადრაც რომ ჰყავდეთ, ომის საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდებოდაო. (ნ. ვ.).

—

«მოს. ვედომოსტს» უკვირს, რის იმედი ჰქონია იაპონიას, ომი რომ ასტეხაო:

«რუსებს გულში უხარიანთ, რომ იაპონელებმა შუაგულ მანჯურიაში შესტოპეს. იქ ჯარი უნდა გაჰფანტონ, ერთმანერთთან კავშირი შესწყვიტონ და სურსათის შოვნასა და ზიდვას ხომ ვერ მოახერხებენ. ამის გამო, საფიქრებელია, იაპონელები არ გაახარებენ რუსებს, დაპყრობილ ადგილებზე გამაგრდებიან და რუსებს მოუცდიან, რომ იმათ მიიტანონ იერიში, თუ ძალა შესწევთ. ხოლო რუსები ეგრე მალე ვერ გაბედავენ წინ წასვლას, ვიდრე დიდს ჯარს არ შეაგროვებენ. ამრიგად ომი დიდხანს გაგრძელდება.

მე დარწმუნებული ვარ,—ამბობს უცხოელი კორესპონდენტი,—რომ დედამიწის ზურგზედ არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლოს რუსების გამორეკვა მანჯურიიდგან, თუ რომ თვით რუსეთმა მოიწადინა იქ ყოფნა. მე მგონია, რომ იაპონელები ნაპოლეონის გზას არ დაადგებიან და მოსკოვზე გალაშქრებას არ მოინდომებენ. მაშ, რა შედეგი უნდა ჰქონდეს იაპონელების ომს, რომ გაიმარჯვონ კიდეც? რუსები მანჯურიაში უფრო მტკიცედ დამყარდებიან ომის შემდეგ, ვიდრე აქამდე, იაპონია-კი კორეას დაისაკუთრებს.

თუ რომ დაისაკუთრებინესო,—ამბობს «ნოვ. ვრემია»,—მაგრამ ესეც ძალიან საეჭვოაო.

—

ვაფანგოუს ომის დროს გენერალ შტაკელბერგის დასახმარებლად გენერალ კონდრატენკოს ბრიგადა გაუგზავნიათ, რომელიც დროზედ მისულა და შტაკელბერგის ჯართან შეერთებულა. ამ ბრიგადას კარგი ადგილი დაუჭერია რკინის გზის ლიანდაგთან და იაპონელების რაზმებს გადაჰღობებია, რომ შტაკელბერგის ჯარი მწყობრად დაბრუნებულიყო ჩრდილოეთისკენ. იაპონელების რაზმი, რომელსაც გენერალ შტაკელბერგისთვის გზა უნდა გადაეჭრა, სადღაც მიმალულა, რომ დრო შეურჩიოს და კვალად დაეცეს რუსების ჯარს. რუსებს კავალერიის დიდი რაზმი გაუგზავნიათ, რომ მიმალული იაპონელები აღმოაჩინოს. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურზედ მიმავალ იაპონელების ჯარის მომეტებული ნაწილი 16 მილის სიშორეზე გაჩერებულა ამ ციხის ჩრდილო აღმოსავლეთად. პორტ-არტურის მცველთა ნაწილს გამაგრებული ადგილი უჭირავს შუან-ტაიგოუს მაღლობზე. რუსის ჯარსა და იაპონელების ბანაკს შორის ნახევარ მილის მანძილია. შეტაკება ძალიან მალე მოხდება. (იქვე).

—

ტოკიოდან იწერებიან, ვითომც ციმბირის რკინის გზაზე დაშლილი წყალში მავალი ნავები უნახავთ, რომლებიც ვლადივოსტოკისკენ იგზავნება (იქვე).

—

თიან-ძინიდგან ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ, პორტ-არტურს იაპონელები თანდათან უახლოვდებიანო. თან ზარბაზნები მიაქვთ, რომელნიც თითქმის განუწყვეტლად ცეცხლს აფრქვევენო (იქვე).

—

ამერიკის გაზეთები იუწყებიან, ამ დღეებში იაპონელებს ორი სათადარიგო დივიზია გადუყვანიათ მანჯურიაში. ეს დივიზიები სიუიანთან გენერალ კუროკის ჯარს მიჰმატებია. (ნოვოსტი).

—

პეტერბურგიდგან «პარიჟის ექოს» ატყობინებენ, ამ დღეებში ლიბავაში ბალტიის ესკადრის ნაწილს შეამოწმებენ, რომელიც კონტრ-ადმირალის ფელკერზამის უფროსობით შორეულ აღმოსავლეთისკენ იგზავნება. ამ ეშელონში იქმნება მსწრაფლმოსიარულე და მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებით შეიარაღებული გემები. ეს გემები, არამც თუ დიდს ჯავშნიან გემებს ადვილად გაექცევიან, არამედ ნაღმოსნებსაც კი დაეწევიან. ამავე ეშელონს ორი წყალში მავალი ნავი გაჰყვება. ესკადრა მაგელანის სრუტეში გაივლის, სამხრეთ-ამერიკისა და ცეცხლის კუნძულს შუა. (რუსი).

—

გაზეთი «ჟურნალი» იუწყება, პორტ-არტურიდგან ჩინელი ინჟინერი ხო გაპარულა, რომელიც კარგა ხანს რუსის სამსახურში ირიცხებოდა და შეძლებულ კაცად ითვლებოდა. ეს ინჟინერი, როგორც ამბობენ, იაპონელების ჯარში უნახავთ. თუ რომ ეს მართალია, იაპონელებს სწორედ კარგი მომხრე უშოვნიათ, რადგან ინჟინერმა ხომ ზედმიწევნით იცის პორტ-არტურის მდგომარეობა. (რ. ვ.).

—

«რუს. ვედ.»-ს კორესპონდენტი იწერება გაიჯოუდგან, პორტ-არტურზე იაპონელები სამს რაზმად მიდიან; ამ რაზმებში **150,000** ჯარის კაცი არისო.

—

«დეილი ტელეგრაფი» იუწყება, ვითომც გაიჩენთან ისეთი საშინელი სისხლის ღვრა ყოფილიყოს, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი წინანდელი ბრძოლა რუსებ-იაპონელებისა. თუმცა ამ ბრძოლისა არავის არა გაუგია-რა, მაგრამ გაზეთს დაწვრილებით მოხსენებია ეს ამბავი:

„გაიჩენთან ბრძოლა იყო, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. მსხვერპლი აუარებელია. როგორც სჩანს, რუსები მორედ სცდილობდნენ პორტ-არტურის დახსნას. ვაფანგოუს ბრძოლის შემდეგ, შტაკელბერგმა თვისი ჯარი გააძლიერა და სამხრეთისკენ გაგზავნა. ამ დროს კუროკისა და ოქუს ლაშქრები შეერთდნენ და მთელი კორპუსი გაგზავნეს შტაკელბერგის წინააღმდეგ ლიაოიანსა და გაიჩენს შორის, სადაც დიდი ბრძოლა მოხდა. იაპონელები ბევრით მეტნი იყვნენ რუსებზედ. ბრძოლის შემდეგ რუსებმა უკან დაიხიეს. ამბობენ, ლიაოიანი რუსებმა მიატოვესო («ნოვოსტი»).

—

ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს, ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი სურათი პორტ-არტურის სამხედრო ცხოვრებისაო:

ერთ სავაჭრო გემს მოსცილდა ნავი. სულ გაჭედილია. 16 პიდალო ერთად ამართეს და მწყობრად მოუსვეს.

— გარბიან, გადარჩებიან... გზა უნდა შევუკრათ!—ამბობენ ჩემს გვერდით.

— რად?

— გამოცდილი მეზღვაურები არიან, კარგა ეტყობათ... აი იმ გემებზე ავლენ, აქედ რომ მოდიან.

წყალი აქაფდა.

ათასი ტყვიის ნაგლეჯი სეტყვასავით დაატყდა ამ საცოდავ ნავოტს, რომელსაც რვა თავი გამოჰბმია, რვა კაცის სიცოცხლე ჩაჰბარებია. ზვირთები ნავს ეშხაპუნებიან.

აგერ ერთს ძველ გემს ამოეფარა. აღარა სჩანს. წარმომიდგენია, როგორ ამოისუნთქებდნენ ამ საფარს იქით. პიდალოები შეისვენებდნენ: იციან მეზღვაურებმა, გამოჩნდებიან თუ არა, მაშინათვე ყუმბარებს დააყოლებენ. ამ უღონო ნავისა და ას ზარბაზნისა და მსწრაფლ-მსროლელების ბრძოლაში მთელი ტრაგედიაა... მე მგონია, ისინიც-კი, რომლებიც უმიზნებენ, გულში უნებურად ნატრობენ, ნეტა არ მოხვდეს, წავიდეს როგორმეო... აგერ ცალი მხარე გამოჩნდა, მთლად სინათლეზე გამოვიდა, მაგრამ ეს რას ნიშნავს? ნაკლები პიდალო მუშაობს და ისიც უღონოდ. ეტყობა რამდენიმე დაჭრილა, თუ არ მომკვდარა... კვალად ჯოჯოხეთი დაატყდათ. ზარბაზნები შეჩერდნენ: საბრალო ნავზე უნდა იჩინონ ძალა! ახლა ტყვიის მსროლელები ასტყდნენ. ეხლა დაუდგათ იმათ დღესასწაული—შავ-ბნელი დღეობა.

საელექტრო ბატარეიასთან ორი გენერალია...

ჰაე და ჭოე. ნამდვილი მონადირენი არიან... მე მგონია ამათ სულს არა შეაშფოთებს-რა... სამხედრო ინსტინკტი კი საკმაოდ განვითარებული აქვთ... ჯერ ჰაემ ჩამოართვა სალდათს თოფი, ამას წინად რომ გულმტკივნეულად საუბრობდა ობოლ ნათესავ ქალებზე, რომლებიც იმის ანაბრად დარჩომილან, ამ ჟამად დაცარიელებულ სახლში არიან და შიშით კანკალებენ, რადგან სახლს მტრის ყუმბარები თავს ევლება. მე ვფიქრობდი: რა სათნოიანი კაცი ყოფილა. თურმე სამხედროებშიც მოიპოვებიან ლმობიერნი და სათნოიანი კაცები...

ჰაე დიდხანს უმიზნებდა... ბუმ!.. ერთი პიდალო დაეშვა და ველარ აიწია... იმ იაპონელმა, რომელსაც ის პიდალო ეჭირა, თავი დაღუნა და გაშეშდა.

— ყოჩაღ!

ერთის გენარალის გამარჯვებამ მეორეც წაახალისა.

— აბა, ახლა მე!..

გენერალი ჭოეც კარგი მსროლელია.

იქვე მდგომმა სალდათმა თოფი მიართვა. ლულა წინ გაიშვირა. შტიკი გრძელ თითსავით უჩვენებს, როგორ უნდა დაუმიზნოს. იგრიალა თოფმა—

პიდალოც ჩაეშვა წყალშ-

ლა მიცურავს. პიდალოები ველარ დასრიალებენ... კიდევ გაისროლა ჰაემ... გაისროლა ჭოემაც. მსწრაფლ-მსროლელებიც არა სცხრებიან... დურბინდით ვხედავ, რომ საბრალო ნავს ილაჯი უწყდება. წაიწევს წინ და შეჩერდება, თითქო სიკვდილს ებრძვისო. მხოლოდ სამი პიდალოლა მოძრაობს. ნავი გამობრუნდა. მეზღვაურნი თავ-დაქინდრულნი არიან. ერთს თავი წყალისკენ გადუხრია, თითქო რაღასაც აცქერდებაო. რას უნდა ეძებდეს უსიცოცხლო თვალებით?! მეორე ცოცხალი უნდა იყოს, ნავში გაწოლილა და იზმორება. ნავი ქანაობს. წყალს ნაპირისკენ მოაქვს, საიდგანაც გაჩქარებული გარბოდა რავდენისამე წუთის წინად. ადის, დადის, გადად-გადმოდის და საელექტრო კიდეს უახლოვდება.

— ერთი ცოცხალი სულიც აღარ არის!—კმაყოფილებით ამბობს ჰაე.

— წმინდად გაწყვეტილან,—უპასუხა ჭოემ.

— ცოცხალი სული!..

— ვინ. იაპონელი, ეგ მაიმუნები!..

წყნარად თითქო სიამოვნებით, ნავი ნაპირ-ნაპირ მიქანაობს და მკვდრებს არ წევს... ნელა, ნაზად, გაუბედავად ნაპირს მიადგა და გაჩერდა. ტალღები მაინც გარს ევლებიან და ეამბორებიან.

(რუს. სლ.).

ტფილისი

⁂ საერო განათლების სამინისტროს სკოლათა შესანახად ადგილობრივ თანხიდან დღევანდლამდე 85.779 მანეთი გადაიდებოდა ხოლმე. წელს-კი გადადებულ იქმნა 114.779 მანეთი. ამ რიგად წელს 29.000 მანეთით მეტი იქმნა გადადებული, ვიდრე წინად. ეს ფული დაიხარჯება ახალ სასოფლო სკოლათა დასაარსებლად.

⁂ 17 ივნისიდან კოჯორში დაარსებულ იქმნა ფოსტა-ტელეგრაფის დროებითი განყოფილება.

⁂ შაბათს, 19 ივნისს, კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ავლაბრისა და კუკიის საქალაქო მიწების ყურის გდება.

⁂ წელს ხაზინიდან მეტი ფული იქმნება გადადებული ტფილისის სატუსაღოს შესანახად. მეტი ფული უნდა მოხმარდეს ტუსაღთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყურადღება უნდა მიექცეთ ავადმყოფ ტუსაღთ.

⁂ მომავალ სეზონს ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთა რეჟისორად იქმნება ბ-ნი ვ. დ. ნახუცრიშვილი, რომელმაც რეჟისორობა უსასყიდლოდ იკისრა.

⁂ მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლე-ქალთა დამხმარებელი საზოგადოება. საზოგადოებას ღონისძიებანი მცირე აქვს. თხოვნები კი მოსწავლე ქალთაგან, რომელნიც შემწეობას ითხოვენ, ერთობ ბევრი მისდის. საზოგადოების ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად 20 ივნისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში, წარმოდგენილ იქმნება პიესა სცენის მოყვარულთა მიერ არტისტის ბ-ნ რასატოვის დახმარებითა და რეჟისორობით. იმედია, ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ წარმოდგენას და მით შემწეობას მისცემს უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ქალები რომელთა რიცხვი ბოლოს დროს ერთობ ძლიერდება.

⁂ 24 ივნისს ტფილისის სასამართლო პალატაში გაირჩევა საქმე „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ის რედაქტორის გ. ა. პალმისა, რომელსაც გაზეთით ცილის დაწამება ჰბრალდება.

⁂ როგორც გვატყობინებენ, სოფელ წყნეთში 19-სა და 20 ივნისს ორი ქართული წარმოდგენა გაიმართება სცენის მოყვარულთა მიერ. პირველ დღეს «ავაზაკი» ან. ფურცელაძისა იქმნება წარმოდგენილი, 20 ივნისს კი „სამშობლო"-ს უკანასკნელი მოქმედება.

⁂ 16 ივნისს დაიწყო ტფილისში მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები. მეაბრეშუმეობის ლექციების მსმენელად ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 27 კაცი, მეფუტკრეობისა 29.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ წარუდგინა ტფილისის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს საქმე კარაპეტ სერობიანცისა, რომელმაც, ხელოსანთა მოურავად ყოფნის დროს, გაჰფლანგა ხელოსანთა გამგეობის ფული.

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მიიღო ტფილისის საელექტრონო სადგურის მასალა. სადგურის მოწყობას იმ თვემდე არ შეუდგება.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა დედათა საპროფესიონალო სასწავლებლის დირექტორს ნ. ვ. დრობიშევსკაიას, რომელსაც სკოლის საქმე ერთობ კარგა დაუყენებია.

⁂ 8 აგვისტოს კრება იქმნება ახალქალაქის რწმუნებულებისა. კრებამ უნდა აირჩიოს ახალი რწმუნებულები მომავალის სამის წლისათვის.

⁂ განუზრახავთ, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოში მოხელეთა რიცხვი გააძლიერონ. გაძლიერებულ იქმნება აგრეთვე წერილების დამტარებელთა რიცხვი.

⁂ შორაპნის მაზრის სოფლის გოლათუბნის დიდძალი მამული და გუდათუბნის მთა დაახლოებით ათას ხუთასი დესიატინა, რომელიც თავად სუმბათაშვილებს ეკუთვნოდა, სახელმწიფო ბანკს დარჩა და ამ ბანკის წარმომადგენლებმა კიდეც ჩაიბარეს. ასეთი ბედი მოელით იმ ადგილ-მამულებს, რომელიც დიდს ფასებშია დაგირავებული იმავე ბანკში.

ჩვენებური ამბები

ქ. თელავი. დღეს მთელი თელავი იმაზედ ლაპარაკობს, გაზეთები თავის დროზე არ მოგვდისო. მართლაც, როგორ არ ილაპარაკონ. წინად, ზამთარში, როდესაც დღე პატარა იყო და გაზეთსაც ისეთი დიდი ხალისით არა კითხულობდნენ, ფოსტა შვიდ საათზე მოდიოდა; ეხლა კი, როდესაც ყველა ადამიანი, რომელსაც ქართული ანბანი შეუსწავლია, გაზეთსა კითხულობს და დღეც გადიდდა, დილიჟანს გაზეთები ცხრა საათზედ ადრე არ მოაქვს. თელავის დილიჟანები ინსტრუქციის ძალით უნდა ექვს საათზე თელავში მოდიოდნენ. ამ უკანასკნელ ორს თვეში კი არც ერთხელ არ მოსულან თავის დროზედ; ამ ბოლო დროს ხომ სულ გვიან მოდიან, ფოსტა იკეტება და გაზეთების მიღება არ შეიძლება. ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ დილიჟნები ცხრა საათზედ ცოტა ადრე მოდიან, ესე ნახევარ საათით, სამი ჩეთვერით. ერთი ნაწილი გაზეთის მოლოდინე ხალხისა მაშინვე კურდღელაშვილის დუქნისკენ გაეშურება ხოლმე და გაზეთს მსწრაფლად იღებს, მეორე ნაწილი კი ფოსტისკენ მიეშურება, გაივლის თელავის ჩაბნელებულს ოღრო-ჩოღრო ქუჩებს, თავპირის მტვრევით ფოსტაში მიახწევს და იქიდამ ცარიელი ბრუნდება. ეუბნევიან: ეხლა მალე ცხრა საათი შესრულდება, ხვალამდის ფოსტას არ გავარჩევთო. ამბობენ ყველა ეს ერთი დიდი კაცის საქმეა; იმას შეუძლიან დილიჟნები ადრეც მოიყვანოს თელავში, გვიანაცაო; მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენ პატარა კაცებს დიდ კაცებზედ ლაპარაკის ნება არა გვაქვს და ამიტომ სჯობს დუმილს მივეცეთ.

ამას წინად ერთ ქართულ გაზეთის თანამშრომელმა საყვედური გამოაცხადა, ჩვენი კორესპონდენტები სულ იმას იწერებიან, ეს ქურდობა გახშირდა სოფელში, ეს ცუდი დარებია და სხვა მხარეს გლეხის ცხოვრებისას კი არ გვაგებინებენო. მე ამაზედ უნდა მოგახსენოთ რომ კაცს ყველაზედ მეტად რაც აწუხებს, ჯერ იმაზედ აქვს მიქცეული ფიქრი და გონება: ავადმყოფ ადამიანს რომ ერთი რომელიმე ასო მეტად მწარედა სტკიოდეს, ის იმაზედ იყვირებს; ექიმმა რომ ბევრიც უჩიოს, ნუ ყვირი მაგდენს, ყვირილი ავადმყოფობას ვერ მოარჩენსო, ავადმყოფი მაინც ყვირილს ვერ მოიშლის. ჩვენ, კორესპონდენტებიც, ეგრე ვართ. ამ დღეებში კახეთის ორ სოფელში მომიხდა ყოფნა (ურიათუბნის საზოგადოებას ეკუთვნოდნენ) და ყოველი ადამიანი იმას შემოგჩიოდა, დაგვიხსენით ამ უბედურობისაგან, გაგვაჩანაგეს ქურდბაცაცებმაო. ქურდობას ჯანი გავარდეს, ჩვენი მამასახლისი ქურდების ამხანაგია, იმათთან ქეიფობს და სხვა და სხვა საიდუმლო საქმეებს იჭერსო. მართლაც გამატარეს ერთი დუქნის მახლობლად და რა ვიხილე: მამასახლისი ქეიფობს, გარშემო ორი გარყვნილი ქალი შემოსხდომია, იქვე ქურდ-ბაცაცები უსხედან; იმათ ხარჯზედ ქეიფობს.

გავკვირდი! გამიკვირდა ჩვენი სოფლების დაცემა, დაქვეითება და მწარე ფიქრებმა გამიტაცეს..

—ღა.

ხარაგაული, (შორაპ. მაზრა). ხარაგაულის ორკლასიანის საეკლესიო-სამრევლო სკოლის და ამ სკოლის კარის ეკლესიის თავის ხარჯით ამშენებელი მღვდელი რომანოზ დეკანოსიძე, იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის წარდგენილების თანახმად, დაჯილდოებულ იქმნა წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენით.

ხარაგაული (შორაპნის მაზრა). თითქმის ერთი თვეა, რაც ყველა სასწავლებლებმა დაითხოვეს თავისი მოწაფეები საზაფხულოდ. ჩვენის სასწავლებლების შეგირდებს კი ძლივს-ძლივობით ეხლა ეღირსათ განთავისუფლება. უკანასკნელი ეგზამენები იყო საქალებო ერთ კლასიან სასწავლებელში. ეგზამენებზედ დაესწრნენ, მასწავლებლებს გარდა, იმავე სკოლის საპატიო ზედამხედველი ქ-ნი სონა კიკნაძისა, ახალგაზრდა სემენარიელები და სხვანი. წრეულ კურსი დაათავა რვა მოწაფემ. როგორც ეგზამენებზედ აღმოჩნდა, სკოლის კურსი იყო მშვენივრათ და ზედგადაჭარბებით გავლილი. ყველა განყოფილებაში საუკეთესოდ კითხულობდნენ საზოგადოდ ყველა ლექსებს და, რაც შეეხება ქართულს,—ხომ უფრო უკეთესად. გასაკვირველი და სწორედ მოულოდნელია, რომ ასეთს პაწაწა ასეთი გრძნობით და გამორკვევით შეუთვისებიათ ლექსის ყოველი კერძოობა—მუსიკალური, ლოგიკური და სხ.

ეგზამენების დათავების შემდეგ ყველა მოწაფეებმა მიართვეს თავის მასწავლებელს მათგანვე შედგენილი პატარა ადრესი, სადაც ალერსიანათ და ქალის სინაზით ეთხოვებოდნენ თავის «გულში ამოუშრობელ» მასწავლებელს.

ამ თვის ცამეტს იყო ხარაგაულის საზოგადოების თავყრილობა. პირველი საკითხი, რომელიც იყო აღძრული და კიდეც გადაწყდა, შეეხებოდა ზემოხსენებულ საქალებო ერთკლასიან სასწავლებელს. საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი ამ სკოლის ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთების შესახებ პროფესიანალურ განყოფილებით. ეჭვი არ არის, რომ მთავრობა უთუოდ დაამტკიცებს ასეთ განაჩენს... სწორედ სასიამოვნოა, რომ ჩვენი მიფანტულ-მოფანტული საზოგადოება ასე გულმოდგინედ ეკიდება სკოლას, თუმცა ნივთიერად უკიდურეს მდგომარეობაშია.

რამდენიმე თვე იქმნება მას შემდეგ, რაც ჩვენმა საზოგადოებამ ამოირჩია ზემოხსენებულ საქალებო სკოლის საპატიო ზედამხედველად ქ-ნი სონა კიკნაძისა. იგი გულ-მოდგინედ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას და 100 მან. შეაწია სკოლას.

კოწია.

ქ. თელავი. წელს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა გაათავეს და ატესტატები მიიღეს 28 ქალმა, ამათში 15 მართლ-მადიდებელია, 13 სომეხ გრიგორიანი; ეროვნებით: 14 ქართველი, 13 სომეხი და ერთი რუსი.

სწავლის გათავების და მოსწავლეთა დათხოვნის გამო 30 მაისს გაიმართა აქტი მრავალის ხალხის თანადასწრებით. აქტზე სასწავლებლის გამგებელმა პ. პ. სოგინმა წაიკითხა სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარის სოფიო სტანისლავის ასულის ქ-ნ განსევიჩის წერილი, რომლითაც იუწყებოდა, რომ ავადმყოფობისა გამო იძულებული ვარ თავი დავანებო თავმჯდომარეობას, რისთვისაც თხოვნა უკვე მივართვი მთავარ-მართებლის მეუღლეს კნეინა გოლიცინისასო. ბ-ნმა სოგინმა მწუხარება გამოსთქვა, რომ თავს გვანებებს ასეთი ადამიანი რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო სასწავლებელსაო.

ქ-ნი განსევიჩისა 1897 წლიდან თავმჯდომარეობს და წინამძღვრობს სასწავლებელს. სამის წლის წინად სასწავლებლის საქმეები ისე დაქვეითდა, რომ 4,276 მან. ვალი დაედო და სასწავლებლის არსებობა სახიფათო შეიქმნა; ამ დროს ყველა მისი საქმეები გადაეცა თელავის მაზრის უფროსს და სამი წელიწადი აწარმოვა, ხოლო 1897 წ. წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭომ შესაძლებლად სცნო გამგეობის თავმჯდომარედ დაენიშნა მაზრის უფროსის მეუღლე ქ-ნი განსევიჩისა.

უპირველეს ყოვლისა, ახლად დანიშნულმა გამგეობის თავმჯდომარემ მიაქცია ყურადღება სასწავლებლის შენობას, რომელიც შეკეთებას ძრიელ ჰსაჭიროებდა. გამოითხოვა წმ. ნინოს საქველმ. საზოგადოების გამგეობისგან 3,500 მანეთი და იმავე წელს ზაფხულში შეაკეთა შენობა. ამასთანავე შეუდგა, როგორც სასწავლებლის უფლების გაფართოებას, ისე ნივთიერად გაუმჯობესობას. ის 12,000 მან. ხელუხლებელი თანხა, შეწირული კნ. ვორონცოვის და კნ. ჭავჭავაძისგან, რომლის %-თ ორი ქალი იზრდებოდა პანსიონში, შეიტანეს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში, საიდამაც ყოველ წელს % მოსდით. სასწავლებლის ბიბლიოთეკასაც ყურადღება მიაქცია და ყოველ წლივ წიგნების შეძენა დაიწყეს. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სასწავლებლის საშუალებათა გასაძრიელებლად, რათა მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო, 1901 წელს სწავლის ფული 40 მ. გაჰხადეს წელიწადში, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ბევრს, მაგრამ თითქმის ყოველ წელს 10-მდე მოსწავლეს ანთავისუფლებდნენ სწავლის ფულის გადახდისაგან. სასწავლებლის მეტ უფლებათა მისაპოებლად გამგეობამ 1897 წელს მიჰმართა

ფელეტონი

ნახული და გაგონილი

VII.

ვარძია.

გზის მაჩვენებელი და ხელმძღვანელია საჭირო, თორემ, თუ ის არა გვყავს, ვერას გახდები, სწორედ დაიბნევი ამ აუარებელს გამოქვაბულს სენაკებში. ღვიმესენაკნი რამდენსამე სართულადაა გამოქვაბული. ერთ სართულიდან მეორეში ასვლა ადვილი არაა, და, ცოტა არ იყოს, სახიფათოა, რადგან ალაგ-ალაგ ქვის კიბენი გახეხილა, ჩარეცხილა და დამტვრეულა. ღმერთმა უშველოს დროებით ვარძიაში მყოფს, ერთს ქართლელს ყმაწვილს! იმან გამიწია წინამძღოლობა და ყველაფერი მაჩვენა. დათვლით ვერ დავთვალე, რამდენი სენაკია, ზოგი ამბობს ათასზე მეტიაო, ზოგი ნაკლებს ამბობს. სიგძე გამოქვაბულ მონასტრისა თითქმის ერთი ვერსი იქნება.

გზის მაჩვენებელი წინ გამიძღვა და მიმიწვია—მომყეო. დალოცვილი, ისე დახტოდა, თითქოს ქურციკი იყოსო. ფეხებზე მესტის მზგავსი ნაზი ტყავი ჰქონდა აკრული. მე-კი... საცოდავი ვიყავ. ვერანა და მუდრეგი, საგზაო წაღებს რომ ეტყვიან, ის მეცვა. სიცხე-პიპანაქებისაგან ისე გაიფშიკა, როგორც ურიის მკედარი. ალია, მეპიჰყე ამ ფეხსაცმელით სიცოც- ბუდ კალჰაბუკს!

ვდავების, ერთს ციცაბო კლდეს სგავსებიან.

მიადგა და გაჩერდა. შემომხედა, მობძანდით და ზემოდ აცოცდა. შიშით კინაღამ გული გამისკდა. ციცაბო კლდეზე საფეხურებისა მეხუთედი აღარა სჩანდა. რაღაც წვნიკი ხარიხა გაედოთ და ამ ხარიხის შემწეობით უნდა ავსულიყავით თამარ მეფის სარდაფში. რას ვიზამდი, მივყე წინამძღოლს, მაგრამ ვაი ამ მიყოლას! სარდაფი სავსეა ჩაკირულ დიდ თუ პატარა ქვევრებით. ღმერთო, ეს რა ძალაა, რა ცხოველი სიძლიერეა, რომ ხუთ სართულად კლდე დახვრიტო, ათასამდე საცხოვრებელი ოთახი, დიდი და პატარა, გამოჰკვეთო, რამდენიმე დიდი და პატარა ეკლესია გამოჰქვაბო წერაქვით და მაინც არ იკმარო, არ შედრკე! ქვევრების ჩასაყრელად ხელახლა გაუპიათ ცივი გული კლდისა!..

სენაკებს რომ მოვრჩით, ეკლესიები მოვიხილეთ. ღვთის მშობლის ეკლესიის გარდა, დანარჩენები პატარაებია, თაბორისა, მაგალითად, სიგძით შვიდი არშინია, სიგანით ოთხი. ეკლესიათა კედლები ბევრგან წაბღალულია რუსულ-ქართულ-სომხურ წარწერებით. ჩავუკვირდი რუსულ-ქართულ წარწერებს და გავოცდი. ბევრ ჩემ ნაცნობის სახელი და გვარი ამოვიკითხე და შემრცხვა მათ მაგიერ. ყველაზე დიდად მაშინ გავოცდი, როცა ვიპოვნე აწ განსვენებულის თავ. თა—შვილის სახელი და გვარი. სწორედ ღვთის წყრომაა და უბედურება ჩვენს თავსა! ალბად, მართალი უთქვამს ცნობილს მოღვაწეს ქ. გორში: ქართველები ისე ავზნიანი და უბედურები იყვნენ ძველადვე, რომ ღვთის მშობელმა ხელი აიღო და აღარ მობრძანდა ქრისტეანობის საქადაგებლად, თუმცა ეს ქვეყანა ჰხვდა წილადაო.

განსვენებული თ—შვილი განვითარებული, შესმენილი კაცი იყო, ყველას საყვარელი, რიგიანი და საპატიო თანამდებობის პატრონი და ნუ თუ არ ეყურებოდა, რომ შეთითხნა, შებღალვა წმიდა კედლისა, წმიდა სახლისა, სადაც თამარ მეფე საათობით იდგა, ლოცულობდა წმიდის გულით და ავედრებდა ღმერთს თვის ერსა, უდიდესი დანაშაულია სამშობლოს წინაშე?! ნუ თუ არ ესმოდა, რომ დიდებულის წარსულის ნაშთს მუხლ-მოდრეკით და მოწიწებით უნდა ვუმზერდეთ? არ მესმის რა მარჯვენამ უნდა აიღოს ნახშირი და გაგლისოს წმიდა ნაშთი თვისის გვარითა და სახელით, რომელიც არავისათვის არაა საინტერესო, მეგობართა და მახლობელ ნათესავთა გარდა. ვიღაც ნინო აგულოვისა და ს. ყოუმჩიბაშოვი რაღა გავამტყუნო, როდესაც შესმენა თ. გ. თ—შვილს არა ჰქონია. დიდად მეწყინა და ხმა მაღლა ცუდად მოვიხსენიე განსვენებული და ის წყეული გარემოება, რომელიც ასე გვამახინჯებს ეროვნულად. სიცოცხლეში კი სიამტკბილობისა და სიყვარულის მეტი არა გვეთქმოდა-რა მე და განსვენებულს. ვარძიის ნანგრევებზე გავიცანით ერთმანერთი და აქ გავსწორდით, მაგრამ ვაი და ვუი ამ გასწორებას. ვისთვისაა საჭირო?..

ბევრჯელ მითქვამს და კიდევ მოგახსენებთ, დიდი უბედურობაა, რომ ეროვნულს აღზრდასა ვართ მოკლებული. თ—დი გ. თ—შვილი რომ სხვაფრივ ყოფილიყო აღზრდილი, ეროვნულს მკრეხელობას არ მოიქმედებდა და სხვასაც ნებას არ მისცემდა წაებილწნათ ვარძიის კედლები.

სხვები ჩვენსავით არ იქცევიან. განათლებულს ევროპიელებს თავი დავანებოთ, ამათ საოცრად იციან თავიანთ მოჭირნახულეთა სიყვარული და პატივისცემა. გვყვანან ისეთი მეზობლებიც, რომელნიც თითქმის უმიზეზოდ განგაშსა სცემენ ხოლმე და რწყილს აქლემად აქცევენ. ამათაც თავი დავანებოთ, ღმერთმა საბედნიეროდ მოახმაროსთ თავიანთი საქონელი. მაგალითად ავიღოთ პატარა ფინლიანდია. ისტორიაში ამ ერის ღვაწლი არა გამიგონია რა და ვგონებ ვერაფრით მოიწონებენ თავსა. რიგიანი, თითქმის დამოუკიდებელი არსებობა, ისიც ნაწყალობევი, სულ რაღაც ოთხმოციოდე წელიწადი ჰქონდა წარსულს საუკუნეში. ბუნება ამ პატარა ქვეყნისა მკაცრია და მწირი, მაგრამ დაღვრემილმა ფინმა, ეროვნულ დაწესებულებათა წყალობით, ბევრი რამ გაიჩინა და, სხვათა შორის, ეროვნული პოეზიაც დაჰბადა. ფინებს ჰყავდათ პოეტი რუნებერგი. პოეტმა დიდი სახელი გაითქვა სამშობლოში, გარეთ კი აგრე რიგად თვალ-საჩინო არ გახლავთ. ხომ ასეა, მაგრამ ის სახლი, სადაც პოეტი სცხოვრობდა და გარდაიცვალა—ქ. ბორგოში, სათაყვანებელი გახდა ერისათვის. მთავრობამ შეისყიდა ეს სახლი (რუნებერგის სიცოცხლის დროს ფინლიანდიის სენატი შეზღუდული არ იყო), ყველაფერი ისე დასტოვა, როგორც პოეტის სიცოცხლის დროს იყო. დღეს თურმე ბორგოს სახლი ფინნების საეროვნო სამლოცველოდ გარდაქცეულა და თვითოეული ფინი მოვალეობად სთვლის, ისე არ მოკვდეს, რომ რუნებერგის სახლი არა ჰნახოს.

ჩვენ, ქართველებს, უფალმა არ მოგვცა ეს შნო და უნარი. ჩემის აზრით, რუნებერგის პოეზია ვერანაირად ვერ შეედრება აი თუნდ ვაჟა-ფშაველას პოეზიას. სიღარიბით ტანჯულს პოეტს ისეთი მარგალიტები მოეპოვება სალაროში, რომ რუნებერგი კი არა, ბევრი, მეგობართა შემწეობით გაბერილი და სახელ-მორჭმული პოეტი, იძულებული უნდა გაჰხდეს ქედი მოიხაროს მის წინაშე, მაგრამ სადაა პატრონი, სადაა გამკითხავი! რუნებერგს ჰყავდა ისეთი მეგობარი, როგორიცაა ი. გროტი. სახელოვანმა მეცნიერმა რუნებერგის ბევრი ლექსი სთარგმნა რუსულად და ამით სახელი მოუპოვა სამშობლოს გარედ. ჩვენს პოეტებს კი ჩვენ, ქართველები, ვყევართ მეგობარ-მოჭირნახულეთ! ერთხელ ხომ სამსალა ვასვით ვაჟა-ფშაველას, დღეს პოეტი სიმშილით ილევა. აი როგორ დაღინებს ვაჟა-ფშაველა ქართულს რედაქციას:

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რათა სასწავლებელს პროგიმნაზიის უფლება მიენიჭებოდა. ასეთივე თხოვნით 1889 წელსაც მიჰმართა გამგეობამ, მაგრამ თხოვნა უარყოფილ იქმნა. 1898 წელს დეკემბერში მზრუნველმა შეიწყნარა თხოვნა ღ ზავედენიას პროგიმნაზიის უფლება მიენიჭა, ისე რომ აქ კურს დამთავრებულთ თავისუფლად—უეგზამენოით იღებენ ყველა საშუალო ქალთა სასწავლებლების მე-V კლასში. ამასთან ზავედენიაში მსახურთ სახელმწიფო უფლება მიენიჭათ. ქ-ნ განსევიჩის მეთაურობით მთელი გამგეობა ყოველთვის მუყაითად ცდილობდა ზავედენიის წინ მსვლელობისათვის. ვუსურვებთ გამგეობას, მომავალშიაც ისე წაიყვანოს მისი საქმეები, როგორც ამ ბოლო წლებში მიჰყავდა.

შიდა-კახელი.

სვანეთში ორის კვირით

(შემდეგი *)

აქ მაცხოვრის საყდარში ინახება ვერცხლის მაღალ ყელიანი სურა წარწერით: № 83. «ქ. შემოგწირეთ ჩვენ მეფეთ მეფემან პატრონმან ბაგრატ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან თამარ სურა ესე ხელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებლად მაცხოვარს მეღახთას, ქორონიკონსა სამას ორმეოცდა ოხუთმეტსა—1667 წ.

ძირზედ აწერია: «ბატონიშვილის თინათინისა».

მეფე ბაგრატ მეფობდა მეტის-მეტად გაჭირვებულს დროს: საქართველოს მეფე ვახტანგ მე-V, ახალციხის ფაშა, დადიანი, გურიელი—ერთმანეთს ებრძვიან იმერეთის სამეფო ტახტის გულისათვის და ამ ძმათა შორის სისხლის ღვრის მიზეზი დაუდგრომელი-გლისპი დარეჯან დედოფალია (ზურაბ ერისთავის ქვრივი, თეიმურაზ I მეფის ასული); ბაგრატი ამ დარეჯანის გერი იყო. დარეჯანმა თვალები დასთხარა ბაგრატს და ვაი-ვაგლახით რამდენსამე წელს იმეფეს რიგ-რიგით; დარეჯანი ხოსია ლაშხიშვილმა მოკლა 1668 წ. ბაგრატმა ლევან დადიანს წაართვა ცოლი—თამარი [1]). და თვით შეირთო, 1664 წ. რომ სვანეთი გადაჰბირონ დადიანს ლევანს და გაუერთგულონ თავის ტახტს, ბაგრატ-თამარი სვანეთის საყდრებს სწირავენ ძვირფასს ნივთებსა. 1679 წელს მეფე არჩილმა შეიპყრა ტყვედ დედოფალი თამარ სკანდის ციხეში და ისევ დადიანს დაუბრუნა. მაგრამ თვალ-დამწვარმა ბაგრატმა მოიშველია ახალციხის ასლან ფაშა, დაიპყრო იმერეთი, მიუხდა დადიანს, დაამარცხა და ისევ წაართვა თამარი. ლევან დადიანი მოკვდა 1680 წ., ხოლო ბაგრატი—1681 წ. და იმერეთის მეფედ დაჯდა მისი სიძე გიორგი გურიელი, რომელმაც დაუტევა ცოლი თვისი (დარეჯან) და შეირთო სიდედრი თვისი, დედოფალი თამარ. 1683 წ. მოკვდა თამარიც და ასე მოუღო ბოლო სიკვდილმა ქვეყნის მაოხრებელთა და უმანკო სისხლის მღვრელთა, და დრომდე მაინც დაამშვიდა იმერეთი, ოდიში და სხვ. [2]).

ბატონიშვილი თინათინი ბაგრატ მეფის ასული იყო; შემდეგ. 1704 წ. შობიდგან 26 წლისა მონოზნად შედგა და ნინო ეწოდა. იგი მოვიდა ქართლში მეფე ვახტანგ VI გაჰყვა რუსეთში 1724 წელს [3]).

ს. ზარდლაშის წმ. გიორგის საყდარში: წმიდა გიორგის ხატზედ აწერია: № 84. «ქ. ადიდნეს ღმერთმან მეფეთ-მეფე გიორგი და დედოფალთ-დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, რომელთა შეამკეს ხატი ესე მაცხოვრისა მეღახისა სადღეგრძელოდ და ცოდვათა შესანდობელად. ამისი ოქრომჭედელი ივანე». იქვე ვერცხლის კათხაზედ აწერია მხედრულათ: № 85. «ქ. შემოგწირე ჩვენ მეფემან პატრონმან ბაგრატ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან თამარ სფერა ესე ხელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებლად მაცხოვარს მეღახთას. ბატონიშვილის თინათინის—ქორონიკონსა ტნე—1667 წ.—ამ უკანასკნელს ორს წარწერაში მოხსენებულნი მეფენი გიორგი და ბაგრატ იგივე პირნია—ზევით მოხსენებულნი.

აქვე ზარზედ აწერია მხედრულათ: № 86. «ქ. წ~ო გ~ი მეოხ და მფარველ ექმენ კვაბძესა ლომკაცსა და თანა მეცხედრესა მისსა ჯაფარიძის ქალს კაკუნას, შვილსა მათსა შემწე და მოწყალე ექმენ დღესა მას განკითხვისასა, ა~ნ».

ს. ლახირის იოანე მახარებლის საყდარში მომცრო ღვთის მშობლის, ვერცხლით შეჭედილს ხატზედ აწერია: № 87 «ქ. ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო მეოხ ექმენ იოსელიანს ჯიბერდს დღესა განკითხვისასა»..

ზარზედ აწერია: № 88. «ქ. ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე შემოგწირეთ ზარი ესე სვანეთის მთავარანგელოზთ ჩვენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად, ამინ».

იქვე ღვთის მშობლის საყდარში ვერცხლის ჯვარზედ: № 89. «ქ. ძელო ცხოვრებისაო მეოხ და მფარველ შექმენ მამკობსა შენსა ქალაქიონსა სირმონს და შვილსა ჩემსა მაქელს და შვილთა მისთა».

შუადღე გადასული იყო, რომ მესტიისაკენ გავსწიეთ.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

მოსკოვი. (საკუთ. კორესპონდენტისაგან). ხუროთ მოძღვართა და შენობათა ტეხნიკურად გამაუმჯობესებელის საზოგადოების გამოფენაზედ, რომელიც მოსკოვში იყო 31-ს მარტს, სხვათა შორის, ძმებმა რევიშვილებმა წარმოადგინეს თავიანთ-მიერ გამოგონილი კარ-ფანჯრის «თვით-მიმზიდველი» დასაკეტები.

ბბ-ნთ რევიშვილებს აზრად ჰქონიათ, შენობისათვის აეცილებინათ ის უხერხულობა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს დროში მიგდებულის კარ-ფანჯრის დასაკეტებთან და კიდევაც განუხორციელებიათ ეგ აზრი. იმათი სისტემის დასაკეტებით მოწყობილს ფანჯრებს არ ესაჭიროება ფანჯრის თვალი, ზამთარში, საგოზავით შეთხუპნა, რაც, გარდა იმისა რომ ამახინჯებს ფანჯარას, მისი ერთიანად გაღებაც მოუხერხებელი ხდება.

იმ ადგილებში, სადაც ქარი და მტვერი იცის, ფანჯარა, რომელიც მოკლებულია თვალს და რომლის გაღება შესაძლებელია ერთიანად, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, ცხადია, აკმაყოფილებს ჰიგიენურს მოთხოვნილებასაც, რადგან მტვერს არ უშვებს ოთახში და ჰაერის დაწმენდასაც ერთობ აადვილებს.

ერთ-ნახევარი ევროპიული კარისა რომ გავაღოთ ან დავხუროთ, არა ერთხელ, იძულებული ვხდებით, მივიდგათ სასხდომი ან მივმართოთ ჩვენზედ უფრო ტანით მაღალს და მკლავით ღონიერს. ბბ. რევიშვილების სისტების კარებს არ ესაჭიროება ეგ დაყუდარაბა: იგი ყოველ მხრივ ემორჩილება ადამიანის ნებას და მით ამართლებს ტეხნიკის უმთავრეს პრინციპს. ნიჭიერმა და მარტივმა გამოგონებამ ჩვენ ახალგაზდა თანამემამულეთა იმდენად მიიქცია გამოფენაზედ საზოგადოებისა და სპეციალისტთა ყურადღება, რომ ადგილობრივ გაზეთებს ნება-უნებლივად უნდა აღენიშნათ ეს გარემოება. ეხლა, როგორც გავიგე, რამდენისამე შენობათა პატრონებს მოსკოვში გადაუწყვეტიათ ახალი შენობების კარ-ფანჯრები მოაწყონ ბბ. რევიშვილების სისტემის დასაკეტებით და გამომგონელთათვის კიდევაც შეუკვეთიათ საჭირო მასალის დამზადება. უკანასკნელნი ცდილობენ, მოსკოვში გახსნან საკუთარი ქარხანა, რადგან მათი გამოგონება, რომ დიდს ბაზარს მოიპოვებს—ეს ყოველს ეჭვს გარეშეა, როგორც მათთვის, ისე ყველასათვისაც, ვინც საქმის ვითარებაში ჩახედულია შესაფერად.

მეტად სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალგაზდობა თან-და-თან ცხოვრებას ეკიდება ევროპიელის თვალ-ხედვის ისარით. ეს ხომ ერთად ერთი გზაა ჩვენი ერის კეთილ-დღეობისათვის.

დიმ. ბ—ია.

P. S. წრეულს მოსკოვის უნივერსიტეტი გაათავა ხუთმა ქართველმა. საექიმოზედ—ალ. პაპაშვილმა და ზ. მატიუხოვმა; საბუნების-მეტყველოზედ—ივ. ჩიჯავაძემ, იურიდიულზედ—არ. კიკნაძემ და ლ. წერეთლმა.

დ. ბ.

მცირე შენიშვნა.

ტონნელი თუ გვირაბი?

რაც კითხვა აღიძრა სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანის შესახებ, ჩვენს გაზეთებში და ქართველ ინტელიგენტთა ბაასის დროს არა ერთხელ შეგვხვედრია და გვსმენია სიტყვა ტონნელი. თუ სახეში ვიქონიებთ, რომ უმისოდაც ჩვენს ლიტერატურაში და ლაპარაკში ბევრი უცხო სიტყვები შემოდის და ფეხს იკიდებს ნამდვილი ქართული სიტყვების ნაცვლად, ეს მოვლენაც არავისთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს.

უცხო ენიდამ სიტყვის, ტერმინის აღება არ არის საძრახი, როდესაც სამშობლო ენას არ მოეპოვება რომელსამე ცნების აღსანიშნავად საკუთარი იარაღი. მაგრამ თუ სამშობლო ენას აქვს სიტყვა და მისს ნაცვლად კი არ ვერიდებით უცხო ენიდამ ნასესხ სიტყვის ხმარებას, ეს, ვგონებ, ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი ქვეყანა მოფენილია გვირაბებით. არც ერთი ციხე-სიმაგრე, კოშკ-გალავანი თითქმის არ კეთდებოდა უგვირაბოთ. კახეთში, მაგალითებრ, სიტყვა გვირაბი ისეთივე ცნობილია, როგორც ქვა, ხე, მიწა და სხვ.; ტონნელი კი, რასაკვირველია, გაუგებარია. არც ჩვენ ძველ მწერლობისთვის არის უცხო სიტყვა გვირაბი.

საკმარისად მიგვაჩნია მოგიყვანოთ «ვეფხის ტყაოსნიდამ:»

> «ციხეს ვნი ეზო მაღალსა,
> თვალნი ძლივ გარდასწვდებიან;
> გზა გვირაბითა შემოვა
> მცველნი მუნ ზედა დგებიან.»

ანუ ვახუშტის გეოგრაფიიდამ:

«არს გორასა ზედა ციხე დიდი, დასავლით არს ჩატანილი გვირაბი ლიახვამდე, ქვითკირისა» (იხ. გვ. 246 ქალაქ გორის აღწერა).

ეს კია, რომ დღეს მთას გახვრეტენ და ასე წარმოიშობება ხოლმე ტონნელი. ჩვენში კი, უფრო ხშირად, გვირაბის გზა ქვითკირისა შენდებოდა. მაგრამ მაშინ ჩვენ წინაპართ არც რკინის გზის, არც შოსსეს გაყვანა სცოდნიათ. ესენი რომ სცოდნოდათ, მთებსაც დაუწყებდნენ ხვრეტას.

მაინცა და მაინც სიტყვა გვირაბი აღნიშნავს, ყოველ ეჭვს გარეშე, იგივე ცნებას, რასაც ტონნელი, ე. ი. დახურულ, ფარულ გზას; ამიტომ, ჩვენის აზრით, ქართული პრესა ვალდებულია სხვისაგან დაჩაგრული მშობლიური ენა თვითონაც არ დაჩაგროს ყველასაგან მიღებული და ცნობილი სიტყვების განდევნით.

ალ. მირიანაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი.

პეტერბურგი. ბალტიის გემთასაშენებელ ქარხანაში ნაღმიან გემ. «დელფინზე», გაშინჯვის დროს აფეთქდა ჰაერის შემნახველი მანქანა, რის გამოც წყალში ჩაიძირა. დაიხრჩო 23 ჯარის-კაცი და აფიცერი ლეიტენანტი ჩერკასოვი გადარჩნენ ლეიტენანტი ელაგინი, პორუჩიკი გარაზეევი და 10 ჯარის-კაცი.

სიმლა. («რეიტერის სააგ.»). ამბავი მოვიდა, ხელახლად ინგლისის ექსპედიციასა და თიბეთელებს შორის ბრძოლა მოხდა. თიბეთელებს დიდი ზარალი მოუვიდათ; ინგლისელების მხრივ ერთი აფიცერია მოკლული და 2 აფიცერი მსუბუქად დაჭრილი, დაჭრილია აგრეთვე 5 ჯარის-კაცი.

შანჰაი. პორტ-არტურთან იაპონელებს დიდი გემები აღარ აქვთ. ტრანსპორტ «სადომარუ»-სთან ერთად, მგონი, დიდი ციხის ზარბაზნებიც დაიღუპა. იმ ფაქტის აუხსნელობა, რომ იაპონიის ტრანსპორტები უკრეისეროდ დადიან ზღვაში, იმის საბუთია, იაპონიის დიდი სამხედრო გემები შესაკეთებლად არიან.

ტოკიო. «დეილი ტელეგრაფი» იუწყება, როგორც კუნძულ ხოკადიზოდან გამოგზავნილის დეპეშებით შევიტყვეთ, ლაპეროუზოვის ყურეში გუშინ გაჩენილა 3 გემი, რომელიც, უეჭველათ, რუსების კრეისერებია, თან ნაღმოსნებიც ჰყავდათ. იმ ხმებმა, ვითომ იაპონელნი ბარბაროსულად ექცევიან რუსთა დაჭრილებსა, აქაურ სამხედრო ხალხში ძლიერი სამდურავი გამოიწვია. ამ ცრუ ფაქტების გავრცელებას ის აზრი აქვსო, რომ ევროპიელნი აღელვონ იაპონელთა წინააღმდეგო. ეს ხმები ცილის წამებაა, რადგანაც იაპონელნი რუსთა დაჭრილებს დიდის მზრუნველობით ეკიდებოდნენო.

პარიჟი. სენატმა მიიღო კანონი, რომლითაც მტკიცდება რუსეთსა და საფრანგეთის შორის დადებული პირ-შეკრულობა ფულიანი ფოსტის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

სტამბოლი. ბითლისის ვილაეტიდან კონსულები სასიამოვნო ამბებს იუწყებიან. რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის ელჩების მოთხოვნილებით, როგორც სჩანს, ნამდვილად შეუდგნენ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელიც სულთანმა დაამტკიცა.—როგორც კონსულთა მიერ მომხდარ გამოძიებამ დაამტკიცა, აქნობამდე კიდევ არიან მეამბოხენი. ამ საქმის გათავებას ჯერ კიდევ დიდი დრო მოუნდება და კონსულები ნამდვილად მიაღწევენ თუ არა საწადელსა, ძნელი სათქმელია. არც რომელიმე სხვა სახელმწიფო, არც ინგლისი, აგრე რიგად არას მოსთხოვენ, მხოლოდ ეს იქმნება, რომ დაუშლიან, აღარ მოხდეს უწესოებანი.

მოსკოვი. გარდაცვალებულმა ექიმმა კოლესოვმა საქველ-მოქმედო საქმეთათვის უანდერძა 130 ათასი მანეთი.

ბერლინი. გერმანიის სამხედრო გემმა «პანტერა»-მ, რომელიც ნიუპორტშია, დეპეშით ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ წავიდეს პორტ-ო-პრენს.

---

[1] თამარი იყო ძმისწული ვახტანგ V მეფისა, ვამეყ დადიანის ჯაბრზედ დამძახლა ვახტანგ მეფე ლევანს. ვამეყი მოვიდა სვანეთში ხოსია ლაშხიშვილმა 1661 წ. ვახტანგ მეფის ბრძანებით. იხ. ქ.-ხც. «203 გვ.

[2] იხ ქ. ცხ.», 199—20» გვ.

[3] იხ. Сванетія. Бакрадзе 103—104 გვ.

„მომეცით ფული,
გაწყალდა გული.
თვე არის სრული,
ამოდის სული,
რაც რედაქციას
გარშემო უვლი...
რა-და, რისთვისა?
—ავილო ფული“

ნურც რედაქციას დავემდურებით. რედაქცია, მოგეხსენებათ, ზარაფხანა არ გახლავთ, თუ არა შემოუვა რა, თანამშრომელს რას მისცემს? ჩვენი მკითხველი ისე გაურბის ქართულს მწერლობას, როგორც ურია ღორის ხორცს. ან კი ვინ გაამტყუნებს!.. სიბრძნით და ნიჭით სავსე «ტიფლისკი ლისტოკს» ვიღა წაიკითხავს მერე?

მოკლედ ე. გ. ვეიდენბაუმი ასე მოიხსენიებს ვარძიას: «მტკვრის ღრმა ხეობაში, რომელსაც აქ ხერთვისისა ეწოდება, მდებარეობს ოდესმე საქართველოში სახელოვანი მონასტერი ვარძია. კლდეში გამოქვაბულია რამდენიმე ეკლესია, მრავალი სენაკი და სხვა შენობანი. ამბობენ, დიდად უყვარდა აქ დროს გატარება თამარ-მეფესაო, რომელმაც გაადიდა და გააფართოვა მღვიმე-ქალაქი და ააშენა ეკლესია მღვთის მშობლის სახელზედ. ამ ეკლესიის კედლებზედ ფერადი საღებავით დახატულია სურათი სახელოვანის დედოფლისა. პირველად როდის აშენდა, ან რა დროს გავერანდა, არ ვიცითო».

მღვთის მშობლის ეკლესიაში დღესაცაა წირვა-ლოცვა და მღვთის მსახურება ქართულად. ჩრდილოეთის კედელზე დახატულია თამარ მეფის სურათი უშველებელ საყურეებით. სურათი ისეთივეა, როგორც ბეთანიის მონასტერში. მაგრამ აქ უკეთაა შენახული. განახლების შემდეგ ბეთანიის მონასტერი აღარ მინახავს, ეგებ იქაც გაასუფთავეს სურათი.

მღვთის მშობლის ეკკლესიას ბევრგან ამჩნევია ნატყვიარი. ქურთები თურმე ნიშანში იღებდნენ კედლებზე და თაღში დახატულს წმინდანების სურათს და თოფის ტყვიით ხვრეტდნენ. ის ველურნი, ან ახალციხის ბიქ-ბუჭები, რომელთაც თვალები დასჩიჩქნეს საფარაში ათაბეგთ ბექასა და ალბუღას, როგორ გავამტყუნო, როდესაც ჩვენ თვითონ, განათლებულნი ქართველნი, უარესსა ვკადრულობთ.

მოღუშული, პირ-ულიმარი, სევდა-მოწოლილი, მკაცრ ბუნებასთან ბრძოლით გამწარებული, თითქმის დაბალ მოდგმის ჩამომავალი ფინი ქ- ბორგოში დაიარება ეროვნულ პოეტის ნადგომ სახლის სანახავად, რათა დასტკბეს განსვენებულის რუნებერგის ნივთების ცქერით, ამ ხილვით გამოწვეულ მოგონებით, ჩვენ-კი იმას ვკისრულობთ, რასაც ქურთნი სჩადიან უგუნურობითა და ველურობით. ეს კიდევ რაა?! ვის ეკადრება ფინი რუნებერგი და ან რა სახსენებელია შოთა რუსთაველთან? მაგრამ რუნებერგს მრავალი ძეგლი აუგეს თოვლ-ყინულიან ფინლიანდიაში და შოთას სამშობლო სოფელი-კი ჰუჰუიან და მურდალ ქურთთა სადგურად და ბინად გავხადეთ. დღევანდელს საქართველოს ქურდ-ბაცაკასავით შემოეპარა ველურობა და ბარბაროსობა, შთანთქა ძველი კულტურა და მისნი ნაშთნი და თამამად პარპაშებს.

დიდ ეკკლესიის ჩრდილოეთის კედლიდან ზემოდ კლდეში იდის გრძელი ხვრელი. 81 საფეხური დავთვალე. საფეხურები კარგადაა შენახული, მაგრამ ჩემს წინა მძღოლს რომ მივდევდი, სულს ძლივს ვიბრუნებდი. ტანში უნებურად ჟრუანტელი მივლიდა. ღამურები ზედ სახეზე მასკდებოდნენ და იმათი ცივი ფრთების შეხება და ხხუნი ცივ ოფლს მასხავდა. ხვრელში საშიშო არა მომელოდა რა, მაგრამ მინც უხერხულად ვგრძნობდი თავსა. ერთი რომ იგრიალოს, მოზღვავდეს ეს უზარმზარი კლდე, ხომ მორჩა და გათავდა ყველაფერი და გამოეთხოვე წუთი სოფელს!

ხვრელი რომ გავლეთ, გავედით შედარებით ფართო მაედანზე. მტკვარი უფრო პატარად მეჩვენა, მაგრამ თერგივით მაინც სჩქეფდა და ცოცხლობდა. მოედნიდან იწყება ბევთა სენაკები, ვგონებ, მეოთხე სართულისა.

ვარძია მარტო მონასტრად არა ყოფილა. ციხე-ქალაქადაც ითვლებოდა. დიუბუას სიტყვით, გამოქვაბული სენაკები ზოგი საჯინიბო ყოფილა, ზოგი საცხოვრებელი და მაღაზია და ზოგიც დუქანი.

მოგეხსენებათ, რომ მონგოლებმა და ყიზილბაშებმა დაამხეს საქართველო და ტურტლიანის ხელით შებღალეს სული და გული ამ პატარა ერისა. მას აქეთ ქვეყანამ ვეღარ იხეირა და ცოცხლობს წელკავიანივით. მათ სიბილწესა და სიმურდლეს ვერც ვარძია გადარჩა. მეთოთხმეტე საუკუნეში მონგოლებმა ააოხრეს ეს შესანიშნავი გამოქვაბული ციხე-ქალაქი. მეთექვსმეტე საუკუნეში ყიზილბაშები სწვევიან ვარძიას სტუმრად და ყიზილბაშურადაც მოჰქცევიან. მუსულმანთა მწერალი ისკანდერ მუნჯი ასე მოგვითხრობს ვარძიის აკლების ამბავს: «1551 წ. შაჰ-თამაზი შეესია საქართველოს. ერი გაიხიზნა მთებში, კეთილშობილნი ჩაიკეტნენ ციხე-სიმაგრეებში. რამდენიმე თავადი გაიხიზნა დარნარის მიუდგომელს ადგილს, ან დერმარ-ქილისაში (მღვთის მშობლის ეკლესია). შაჰ-თამაზის სარდალმა ზიად-ოღლიმ დაიჭირა მღვთის მშობლის ეკლესია, მამა-კაცნი აჰოსწყვიტა და დედა-კაცნი და ბავშვები ტყვედ გაირეკა, სიმდიდრე და ძვირფასი ნივთები მშვენიერის ეკლესიისა სულ გაზიდა. ეკლესია წარმოადგენდა, ამბობს ისკანდერ მუნჯი, ადამიანის ხელის საოცარს და საკვირველს ნაწარმოებსაო». (დეკ. ლამბაშიძის წიგნაკიდანაა ამოღებული მუნჯის სიტყვები).

დიდ ხანს არ გაუვლია ვარძიის გაძარცვის შემდეგ და მესხეთს ოსმალეთი შემოესია (1625 წ.). ოსმალო მესხეთს მუსრს ავლებდა და ვარძიის განახლება-განსპეტაკებისათვის არ იფიქრებდა. 1828 წელს პასკევიჩმა მესხეთის ნაწილი ოსმალეთს წაართვა და ვარძიაც საქრისტიანოს დაუბრუნდა, მაგრამ რადგან პატრონი და გულშემატკივარი არავინ გამოსჩენია, ქურთებმაც თავისებურად გამოიყენეს თამარ მეფის საყვარელი მონასტერი. უამინდობის დროს საქონელს აბინავებდნენ ვარძიის გამოქვაბულ სენაკსა და ეკლესიებში და გულის გადასაყოლიებლად წმინდანებს ტყვიით უხვრეტავდნენ თვალებსა.

ტანჯულს საქართველოს ასე მუხთლობს ბედი დაწყე-დაბადებიდგან. არც გარეული, ვინც უნდა იყოს იგი, ბიზანტიელია, თუ რომაელი, სპარსია, მონგოლია, თუ თურქი, არაბია, თუ სომეხი, და არც შინაური მეცადინეობას არ აკლებენ, რომ შემუსრონ ბედშავი ქვეყანა და წაბილწონ მისი სიწმინდენი. არა, მათის გულის გასასიძებლად, ისიც-კი უნდა ითქვას, ღვთის წინაშე, რომ ვერ მოახერხეს საბოლოოდ გათელვა საქართველოსი. მოყვარეთა სანუგეშოდ ვიტყვით, რომ ეგები მალე სიცოცხლის ნაპერწკალი გაჩაღებულ ცეცხლად გადაიქცეს.

ა. ფრონელი.

ნიუ-იორკი. («რეიტერის სააგ.»). სასამართლომ გადასწყვიტა, დირექტორები გემთა საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა დაღუპული გემი «გენერალ სლოკუმი», კაპიტანი და აფიცრები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი. ყველა იმათ, 11 კაცს, ბრალად სდებენ მკვლელობას და ბრძანება გასცეს დააპატიმრონ, მაგრამ ისინი თავდებობით გაუშვეს.

17 ივნისი.

პეტერბურგი. 16 ივნისს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მო[illegible]ლა.

ლიაოიანი. 16 ივნისს (საკუთ. კორესპ.). დალინის უღელტეხილი მედგარის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს. კაპიტანი კოვალევსკი, რომელსაც წვეთი დაეცა სიცხისაგან, ტყვედ წაიყვანეს. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ ჩვენის არტილერიის ნიშანში სროლისაგან. აღმოსავლეთის რაზმმა გრაფ კელლერის უფროსობით უკან დაიხია, რადგან ძლიერ მოაწვა მტერი შუბლიდან და ფლანგებიდან

ტანჟერი. 16 ივნისს. („რეიტ. სააგ.)“. ამერიკის ესკადრა ზღვაში გავიდა.

კილი. 16 ივნისს. («რეიტერის სააგ.»). დღეს გემ „გოგენცოლერნზე“ გამოსათხოვარი სადილი იყო მეფე ედუარდის პატივისაცემლად.

სოფია. 16 ივნისს. (საკუთარის კორესპონ.). სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ სოფიაში გადასცა წითელი ჯვრის საზოგადოებას 60,000 ფრ. იმ საავადმყოფოს შესანახად, რომელსაც ბოლგარია შორეულ აღმოსავლეთში ისტუმრებს რუსთა დაჭრილების შესაწევნელად. ბოლგარიის ეგზარხოსი აღნიშნავს თავის მოხსენებაში, რომელიც პორტას გაუგზავნა, იმ გარემოებას, რომ მეტად სდევნიან, საბერძნეთის პატრიარქის აგენტს ოსმალეთის მთავრობის კაცთა ნება-რთვით, ქრისტიანე მკვიდრთა, რომელიც ჩემს სამწყსოს ეკუთვნიანო. აღნიშნავს აგრეთვე იმ ოინებს, რომლითაც სცდილობენ ხელში ჩაიგდონ ბოლგართა სკოლები და ეკკლესიებიო. ასახელებს რამდენსამე ადგილსაც, საცა აღუკრძალავთ ეკკლესიებში სლავიანურ ენაზედ ლოცვები.—ბიტოლიიდან იუწყებიან, რომ ის კუცოვლახელი, რომელიც მოკლულ იქმნა ბერძენთა და კუცოვლახელთა ჩხუბში, დამარხულ იქმნა ქალაქს გარედ. მიცვალებულის გასვენების დროს ბერძნები დასხმიან თავს და დაულეწიათ ეტლი. მსოფლიო პატრიარქი ბერძნებს იმით ამართლებს, რომ თვით კუცოვლახელებმა [illegible]ოიწვიეს ასეთის საქმის საკისრებლადო.

მოსკოვი. 16 ივნისს დიდი ჰექა ქუხილი და თქეში იყო. თან სეტყვა მოჰყვა. გრიგალმა დიდი ზარალი მიაყენა ხალხს. დაზარალდა მეტად სოფლები და სააგარაკო ადგილები. სოფელ კარაგოროვოში გუმბათი მოჰგლიჯა სამრეკლოს. ლიუბლინში მოჰკლა ბიჭი და რამდენიმე მოზდილი ბავშვი დაიჭრა. რიაზანის გზაზე ქარმა გადააქცია საქონლის ვაგონები.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

15 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,50
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	92 ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	87 ნის. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	379 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	292⅛ წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	258¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	88¾ ნის. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
6% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

იყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.**

(5—5).

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი.

(3—6—3).

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НЬГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и К°
МОСКВА.

სწორედ მუქთია,

იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მყვის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ნ6 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)



ამერიკის
ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.

Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბზერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ქუთაისში
ს. გ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЦАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—4)

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
# იყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს
# საზაფხულო სამყოფი
ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭამის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

~ ზრდა საჭიროა ოქრო და ბრილიანტი ~

როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

იაფი გარნიტური
მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 32/323

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიმატება წონისამებრ. (3—6—3)

Дозволено цензурою Тифлисъ 17 іюня 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій